საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030151645462418

№ 01-4/მ **15 / იანვარი / 2018 წ.**

დავით სერგეენკოს, სოფიკო ბელქანიასა და მარიანა მკურნალის მივლინების შესახებ

,,საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე მუხლისა და 66-ე მუხლის შესაბამისად, შვეიცარიაში, ქალაქ ჟენევაში, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის აღმასრულებელი საბჭოს 142-ე სესიაში, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრის სტატუსით (სესიის ფარგლებში, პირველად გაიმართება საქართველოსადმი მიძღვნილი ღონისძიება, სადაც ქართული მხარე წარადგენს ჯანდაცვის მიმართულებით განხორციელებულ წარმატებულ რეფორმებსა და პრეზენტაციას თემაზე: „მიღწევები და გამოწვევები საქართველოს ჯანდაცვის სფეროში“) მონაწილეობის მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2018 წლის 21 იანვრიდან 2018 წლის 25 იანვრის ჩათვლით, შვეიცარიაში, ქალაქ ჟენევაში, მივლინებულ იქნეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი **- დავით სერგეენკო,** საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - **სოფიკო ბელქანია** და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და აპარატის საქმისწარმოების სამმართველოს უფროსი, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - **მარიანა მკურნალი.**

2. ცნობად იქნეს მიღებული, რომ (დავით სერგეენკო) მგზავრობის, სადღეღამისო და საცხოვრებელი ფართობის დაქირავებისათვის (ოთხი ღამე) გაწეულ ხარჯებს აანაზღაურებს მიმწვევი მხარე.

3. დაევალოს ეკონომიკურ დეპარტამენტს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად:

ა) აანაზღაუროს (დავით სერგეენკო) საცხოვრებელი ფართობის დაქირავებისათვის (ერთი ღამე) გაწეული ხარჯები (რომელსაც არ ანაზღაურებს მიმწვევი მხარე) და სადღეღამისო ნორმის დანამატი;

ბ) აანაზღაუროს (სოფიკო ბელქანია და მარიანა მკურნალი) მგზავრობის, სადღეღამისო და საცხოვრებელი ფართობის დაქირავებისათვის (ხუთი ღამე) გაწეული ხარჯები.

საფუძველი: საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 8 იანვრის №1/394 და საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2018 წლის 12 იანვრის N1655 თანხმობები, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის, სოფიკო ბელქანიას 2018 წლის 10 იანვრის №01-478 მოხსენებითი ბარათი.

მინისტრი დავით სერგეენკო